# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდელის სავაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888



სასტუმრო

## პურ-ღვინო

გაიმართა

გოლოვინის პროსპექტზე, მუხრან-ბატონის სახლებში, სადაც აქამდე ექირა დიდ-ზურაბოვს. როგორც ბუფეტი, აგრეთვე ოთახები სრულებით ახლად არის გალამაზებული და გადაკეთებული. ევროპიულ საჭმელების გარდა „პურ-ღვინოში“ მსურველი იშოვნის ყოველ გვარ კავკასიურ საჭმელებს, ქართლურს, იმერულს, გურულსა და სხვას, ნამდვილს ადგილობრივს გემოვნებაზედ მომზადებულს. კავკასიურ საჭმელების მოსამზადებლად განგებ მოწვეული გვყავს ადგილობრივი მზარეულები. ფასები ყველაფრისა ზომიერია.

(4—2) ი. მამინაიშვილი და ა. თოიძე.



ქართული თეატრი

კვირას, 9 ოქტომბერს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

## არსენა

დრამა სამს მოქმედებად, მოჩხუბარიძისა.

II

პირველად

სიძე და სიმამრი

ვოდევილი 1 მოქმედ. ფრანგულიდგან

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, მელიქოვისა, ჩერქეზიშვილისა; ბ ნნი აბაშიძე, ყიფიანი, გამყრელიძე, აწყურელი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 7½ საათზე.


ტფილისი, 7 ოქტომბერი

როგორც დღევანდელს ჩვენს გაზეთშია ნაამბობი, ბ-ნმა ტრეგულოვმა ზაქათალის მაზრაში შეაგროვა საკმაოდ ვრცელი კოლექცია იქაურის საშინაო მრეწველობის ნიმუშებისა და წარუდგინა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, რომელსაც ბ-ნმა ტრეგულოვმა ცხადად დაუმტკიცა, რომ ზაქათალის მაზრის საშინაო მრეწველობა დიდად საყურადღებო და საზრუნავი საგანია. მაგალითად, საზოგადოება საქმით დარწმუნდა, რომ ზაქათალის მაზრის მკვიდრნი ზოგიერთს ხელობაში მეტად დახელოვნებულნი და დაოსტატებულნი არიან. ადგილობრივის მრეწველობის ნიმუშთა შეკრება და შედგენა პირველი და უკანასკნელი არ არის სამეურნეო საზოგადოების მხრით; ხოლო საჭიროა ჩვენმა სამეურნეო საზოგადოებამ განსაკუთრებული ყურადღება აღხოვოს კავკასიის მკვიდრთა საშინაო მრეწველობას, ამ შესანიშნავს წყაროს და სახსარს ხალხის სიმდიდრისას, მით უფრო, რომ კავკასიელთა საშინაო მრეწველობა დღემდე არც საკმაოდ გამოძიებული და გამოკვლეულია და, მართალი რომ ვსთქვათ, ამ მხრით ბევრი არც არა გაკეთებულა-რა. ზოგს ადგილებში საქმე იმ ზომამდეა მისული, რომ მრეწველობა, რომელიც რამდენისამე საუკუნის განმავლობაში ფეხ-მოკიდებული და გაძლიერებული იყო, ამ ოცის, ოც-და-ათიოდე წლის განმავლობაში სრულიად დაეცა და მიწას გაუსწორდა. ვინ არ იცის, რომ ზოგს ადგილას სრულიად მოისპო აბრეშუმეულობის წარმოება, ჭურჭლეულობისა, ავეჯეულობისა და სხვ., და ამ სახით მკვიდრთ ხელიდგან გამოეცალათ ერთ-ერთი წყარო ცხოვრებისა. საშინაო მრეწველობა მიწათ-მოქმედების დამხმარებელი და მაშველია და რაკი საშინაო მრეწველობა დაეცემა და გადავარდება, მიწათ-მომქმედი საშუალებას მოკლებული იქნება მიწას პირ-ნათლად გაუმკლავდეს.

კავკასიის საშინაო მრეწველობა მეტად შესანიშნავი, საყურადღებო და ხელ შესაწყობი საგანია. საერთოდ კავკასიაში სხვა-და-სხვა გვარი საშინაო მრეწველობა არსებობს, რომლის ნაწარმოებს შეუძლიან გააოცოს და გააკვირვოს ადამიანი. რამდენად სხვა-და-სხვაობს კავკასიის ბუნება, ტოპოგრაფიული მდებარეობა, ჰავა, იმდენად სხვა-და-სხვაობს საშინაო მრეწველობაც, რომელსაც ხელის შეწყობა და ბაზარი ეჭირება. ხელის შეწყობა მით უფრო საჭიროა, რომ როცა ქარხნისა და ფაბრიკის მრეწველობა ფეხს მოიკიდებს და გაძლიერდება კავკასიაში, უეჭველია, სუსტი და უკან ჩამორჩენილი საშინაო მრეწველობა სრულიად დაიჩაგრება და დაეცემა. აი, სწორედ ამიტომაც არის, რომ სადაც საშინაო მრეწველობა არსებობს, განსაკუთრებით სცდილობენ შინა-მრეწველებს ხელი შეუწყონ.

ამ საქმეში დიდი წილი უნდა ჰქონდეს ჩვენს სამეურნეო საზოგადოებას, რომელმაც უნდა გამოიძიოს და გამოიკვლიოს ყოველივე ვითარება და ამით დროზე მიუსწროს საშინაო მრეწველობას. საზოგადოებას საშუალება და მოხერხება აქვს გაიცნოს ამ მხრით სხვა-და-სხვა ადგილები, გაგზავნოს მცოდნე კაცები, რომლებმაც უნდა შეისწავლონ და გამოიკვლიონ საშინაო მრეწველობა, და საქმისა და გარემოების გაცნობა ხომ პირველი ნაბიჯია თვით საქმის წინ წასაწევად და ხელ-შესაწყობად. მაგალითად, რამდენადაც ვიცით, ამ მხრით ძალიან ნაკლებად გამოძიებულია საქართველო, სახელდობრ გურია-სამეგრელო, იმერეთი, სადაც დღემდე არსებობს მეჭურჭლეობა, აბრეშუმეულობა, იარაღისა და სხვა-და-სხვა მატერიის კეთება, სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული და ამიტომაც იმის ზოგიერთს ნაწილებში საშინაო მრეწველობა თანდათანა მცირდება და სუსტდება. სამეურნეო საზოგადოებამ თვითონაც უნდა გამოიძიოს და სხვებსაც უნდა გააცნოს ამ საგნის ვითარება და ეს ჯერ - ჯერობით ერთად-ერთი სამსახური იქნება, რომლის შესრულება კიდეც ძალუძს ამ საქმეში. დარწმუნებულნი ვართ, სამეურნეო საზოგადოებას ბევრი დამხმარე და ხელის შემწყობი აღმოუჩნდება და ამით საქმეც გაუადვილდება. დამხმარესა და ხელის შემწყობს უყოლგან, ადგილობრივადაც, ბევრს იშოვნის, რადგანაც ჩვენში საკმაოდ არიან ისეთი კაცები, რომლებსაც შეგნებული აქვსთ საშინაო მრეწველობის მნიშვნელობა და გულიც შესტკივათ.

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

** სოფ. ხელთუბანში „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ“ თავისის სკოლისათვის საკუთარი სახლი ააშენა. ეს სახლი კვირას, 9 ოქტომბერს, უნდა აკურთხონ. სახლის კურთხევაზე დაესწრება, სხვათა შორის, ორი წევრი „საზოგადოების“ გამგეობისა.

*** ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლისა და პროგიმნაზიულ კლასების ზედამხედველად «წერა-კითხვის საზოგადოების» გამგეობამ უკვე აირ-

## ფელეტონი

უცხოეთა შორის

რა არის მიჯნურობა?—კოცნით მორჩენა ავადმყოფისა.—„მშვენიერი ელენე“ და „მშვენიერი პარისი“.—მიჯნურობას ხშირად სისულელემდე მიჰყავს ადამიანი.—ინგლისელი ლორდი.—ლამანჩელის აზნაურის მოძმე.—დედოფლის ახალგაზდა მოტრფიალე.—პოეტი კარდუჩი და დედოფალი.—პოეტს ემპატიება შეცოდება.—მეფე ჰუმბერტო.—ახალგაზდობის მეგობარი.—მეფე ვიქტორ-ემანუილი.—ცხადია, მინისტრი მიჩვეული იყო ასეთს ხუმრობას!..

— რა არის მიჯნურობა?
— მიჯნურობა არის ტურფა,
საცოდნელად ძნელი გვარი,—

გვეტყოდა რუსთაველი.

სხვა პოეტები ამას დაუმატებენ: მიჯნურობა ორ-პირი და საშიშარი მახვილია, მიჯნურობა ერთსა და იმავე დროს სამოთხეა და ჯოჯოხეთი, ძვირფასი სამკაული და ეკლის გვირგვინი, ბედნიერების მომნიჭებელი და უბედურების ამშლელი... და ვინ იცის კიდევ რას არ იტყოდნენ „ალმექდილნი მადლითა უზენაესითა“, ალსავსენი „სულითა, ზეცით მონაბერითა“!..

არა-პოეტი? ეს რაღას გვეტყვის?

— მიჯნურობა ერთისათვის საწამლავია, მეორე'თვის უებარი წამალი,—გვეტყვის, მაგალითად, ექიმი,—ვამბობთ, ექიმი, იმიტომ - რომ ექიმობასა და პოეტობას, ხომ მოგეხსენებათ, «შუა უძევს დიდი ზღვარი» და რომ მართალს ამბობს, ამის დასამტკიცებლად ასეთს მაგალითს მოგვიყვანდა.

ერთს ყმაწვილს კაცს საშინელი ყურის ტკივილი ჰქონდა. ტკივილი ხანდახან ისე შეაწუხებდა ხოლმე, რომ ავადმყოფი მზად იყო თავი მოეკლა. და თუ თავი ვერ გაიმეტა, მხოლოდ იმიტომ, რომ ენანებოდა დანიშნული ახალგაზდა და მშვენიერი ქალი, რომელიც გაგიჟებით უყვარდა. და აი სწორედ ამ სიყვარულმა იხსნა სიკვდილისაგან ახალგაზდა კაცი.

ერთხელ, როდესაც ავადმყოფს საშინელმა ყურის ტკივილმა მოუარა, ქალი უალერსებდა, რომ ალერსით აგები მაინც დაემშვიდებინა თავისი ტანჯული საყვარელი კაცი, და, სხვათა შორის, ყურში აკოცა, თითქოს კოცნით უნდოდა ყურის ტკივილი დაეყუჩებინა. თუმცა ასეთი სასწაული უცბად-კი არ მოხდა, მაგრამ ამ კოცნას მაინც ის მოჰყვა, რომ ავადმყოფს ყური გამოერწყო და მალე სრულიად მოურჩა კიდეც.

ხომ ჰხედავთ, მიჯნურობა რის შემძლებელი ყოფილა, თუმცა-კი ვგონებთ, რომ ასეთს „საექიმო მიჯნურობაზე“ ჩვენი კეთილშობილი და ფაქიზი რუსთაველი იტყოდა:

მძულს ასეთი სიყვარული,
სვლენა კოცნა, მტლაშა-მტლუში

**

მაგრამ დავანებოთ ამას თავი. ჩვენ მხოლოდ იმისი თქმა გვინდა, რომ თვით ხალას ოქროსავით წმინდა და სპეტაკი რუსთაველისებური სიყვარულიც ხშირად თუ ალამაღლებს ადამიანს და გულში ადამიანურს გრძნობას აღუძრავს ხოლმე, ხშირად დიდს სისულელესა და სისაძაგლესაც ჩაადენინებს.

მოიგონეთ თუ გინდ „მშვენიერი ელენე“, რომელიც ჩერჩეტ ქმარს მენელაოსს ცხვირ წინიდამ მოჰტაცა არა ნაკლებ „მშვენიერმა პარისმა“. სწორედ რომ მოგახსენოთ, ჩვენის დროის კალოობაზე, დიდი არაფერი ამბავი-კი მომხდარა: ქალს ვაჟი მოეწონა, ვაჟს ქალი, ერთი მოეტაცეინა, მეორემ მოიტაცა,—მორჩა და გათავდა!

მაგრამ საქმეც ის არის, რომ ეს ამბავი ასე ადვილად არ გათავდა: ამ ამბავს მოჰყვა შეხეთქება საბერძნეთის და მცირე აზიის ერთის ნაწილისა, სისხლის ღვრა ცხრა წლის განმავლობაში, დარღვევა და აოხრება ჩინებულის ქალაქის ტროადისა...

არა მგონია პარისის ცელქობა და ელენეს ღალატი მოიწონოს ვინმე, თუნდაც რომ ეს ცელქობა-ღალატი შედეგი იყოს „მიჯნურობისა“, რომელიც „სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი“...

ძველს დროს რომ თავი დავანებოთ და ეხლანდელს გადავავლოთ თვალი, ბევრი ძებნა არ მოგვინდება, აქაც ბევრს მაგალითს ენახავთ, რომ მიჯნურობას ადამიანი სისულელემდე მიიყვანოს, სასაცილო ყოფაში ჩაგდოს. გიამბობთ მაგალითებს.

**

იტალიის დედოფალი განთქმულია თავისის სილამაზით. ბედნიერ დედოფლისთვის ღმერთს მიუნიჭებია სტურფე, მიმზიდველი, მომხიბლავი, და სიტურფესთან დიდი ჭკუა. დედოფალი კოხტაა, კეკლუცი და ეს სიკოხტავე სიკეკლუცეც, თავის თავად, ბუნებითვე აქვს მომადლებული და არა ძალად საარშიყოდ შეხორც-შეთვისებული, ერთგული ქმრისა და თავისის მოვალეობისა, შვილებისთვის თავდადებული დედოფალი—დედა თავს არ დაიმდაბლებს საარშიყოდ. პირიქით, თავს ისე იჭერს თურმე, რომ თითქოს არც-კი იცის თავისის მშვენიერების, სილამაზის მომხიბლავი ძალა, თუმცა დედოფლის სიმშვენიერეს არა ერთზე და ორზე გამოუჩენია თავისი მომჯადოებელი ძალა.

მაგალითად, ნამდვილს ამბავს მოგვითხრობენ ერთს ინგლისელს ლორდზედ, რომელსაც პირველ ნახვაზედვე გაგიჟებით შეჰყვარებოდა მშვენიერი დედოფალი. მას დღეს უკან დაადგა და საქმედ ის გაიხადა, რომ თავისს ბაღჩაში სულ ერთ გვარი ყვავილი მოჰყავს, რომელსაც „მარგარიტა“ ჰქვიან ეს ყვავილი იმიტომ შეიყვარა ეს, რომ ამისი სახელი დედოფლის სახელს აგონებს, რადგან დედოფალსაც სახელად მარგარიტა ჰქვიან. და არამც თუ მარტო ბაღჩაში, თავისს მდიდარ ბიბლიოთეკის ყოველ წიგნშიაც-კი სულ ეს ყვავილები აქვს ჩაწყობილი; ძვირფასს ოქროს ნივთებშიაც-კი ეს ყვავილი აქვს ამოჭრილი.

ოჰ, გიხაროდეს, ლამანჩელო აზნაურო. რაინდობა ჯერაც არ გადავარდნილა! შენნი მოძმენი დღესაც ყოფილა! თავ-მომწონე, ამაყო ლორდო, ხელი მიეცი შენს მოძმე აზნაურს!..

**

ინგლისელმა ლორდმა ყვავილებში ჩაფლა თავისი გული და ისე დაიმშვიდა. საფრანგეთის გამოჩენილ გენერლის შვილმა, აგრეთვე გატაცებულმა და გაგიჟებულმა დედოფლის სილამაზით, ეს ვერ მოახერხა: დედოფლის სიყვარული ეკლად დაესვა გულში, დიდი „შიში-კრძალვა“ ჰქონდა დედოფლისა, ბევრი ეცადა „არ დაჩენა, ჭირთა მალვა“, მაგრამ ეკალი უფრო ღრმად ესობოდა გულში და ტკივილი უფრო უმწვავდებოდა, უძლიერდებოდა თავისდა საუბედუროდ, ეს

ჩა ბ-ნი ვ. რ. ყიფიანი, ნაცვლად ბ-ნის ჯორჯიკიასი, რომელიც აქამდე დროებით ასრულებდა ზედამხედველის თანამდებობას. ახლად არჩეული ზედამხედველი უკვე წარდგენილია ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორთან დასამტკიცებლად.

*** ექვსს ამ თთვისას კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას მორიგი სხდომა ჰქონდა. მიმომდინარე საქმეების განხილვის შემდეგ, კრებამ დაათვალიერა ბ-ნის ტრეგულოვის მიერ შედგენილი საკმაოდ ვრცელი კოლექცია ზაქათალის მაზრის სხვა-და-სხვა ნაწარმოებისა, რომელიც, როგორც ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო ამას წინად, ბ-ნმა ტრეგულოვმა ამ ზაფხულს შეაგროვა ზაქათალის მაზრაში. საზოგადოებამ ძალიან მოიწონა ტრეგულოვის კოლექცია და მადლობაც გადაუხადა ბ-ნს შემდგენელს. კოლექცია იგი შეიცავს მრავალს ნიმუშს თიხის ჭურჭლეულობისას, კრამიტისას, ტანისამოსისას, ტყავისას, მატყლისას, ჭირნახულისას, აბრეშუმის პარკისას და სხვ. განსაკუთრებით შესანიშნავი და საყურადღებოა თიხის ჭურჭლეულობა, რომელიც მეტად ლამაზადა და სუფთად არის ნაკეთები. ბ-ნის ტრეგულოვის აზრით, ზაქათალის მაზრის თიხა მარსელისას არაფრით ჩამოუვარდება, ოღონდ საჭიროა ზაქათალის სოფლად-მრეწველებს მიაწოდონ მარსელის მრეწველობის ნიმუშები.

შემდეგ ერთმა ზაქათალის მაზრის მებაღემ, ჰაჯი-ისმაილმა, წარუდგინა საზოგადოებას სხვა-და-სხვა ხილეულობა თავისის შესანიშნავის ბაღიდგან. ჰაჯი ისმაილს ჩინებულად გაწყობილი ბაღი ჰქონია, რასაც ცხადად ამტკიცებდა მის მიერ წარდგენილი ხილეულობა, რომელიც კრებამ ძალიან მოიწონა. საზოგადოების წევრთა აზრით, ჰაჯი-ისმაილი, რომელიც ეგოდენს შრომას ჰხმარობს ბაღოსნობის წარმატებისათვის და მეზობლებსაც აჩვევს ბაღოსნობას, ღირსია წახალისებისა; ზოგიერთთა აზრით, სამეურნეო საზოგადოებამ ჰაჯი-ისმაილი, ვითარცა სამაგალითო მებაღე, უნდა დაასაჩუქროს ვერცხლის მენდლით და უნდა წარუდგინოს მთავრობასაც, რომელიც უყურადღებოდ არ დასტოვებს მხნესა და გამრჯელს მებაღეს. ამისათვის, კრების აზრით, საჭიროა კომისიამ გამოიკვლიოს ჰაჯი-ისმაილის ბაღის ვითარება და ყოველივე გარემოება მოახსენოს თვით საზოგადოებას.

ბ-ნმა ვ. ნ. გეევსკიმ, რომელსაც ვენახები დაუთვალიერებია ამიერ და იმიერ კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილებში, უამბო საზოგადოებას, თუ რა მდგომარეობაშია ვენახები, და მართლა რომ გულ-საკლავი სურათი დაუხატა მსმენელებს. ბ-ნის გეევსკის სიტყვით, კავკასიის ვენახებს ერთსა და იმავე დროს რამდენიმე ავადმყოფობა მოსდებია: მილდიუ, ნაცარი, ანტრაკნოზი და სხვა. ქვემო-იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში, სადაც ეს ოც-და-ათს წელიწადზე მეტია, რაც ნაცარი მძვინვარებს, ამ ათი-თხუთმეტიოდე წლის წინად გაშენებული იზაბელა (ოდესის) ვენახი, რომელსაც ნაცარი არ ეკარებოდა, მილდიუს გაუფუჭებია. ბ-ნი გეევსკი ამ საგნის შესახებ ცალკე მოხსენებას წაიკითხავს სამეურნეო საზოგადოებაში.

*** იტალიის ქ. ფლორენციაში ამ რამდენისამე წლის წინად ანჯელო დე-გუბერნატისი შეუდგა ლექსიკონის შედგენას, რომელშიაც ყველა ქვეყნების ეხლანდელ მწერლების ვინაობა და შრომაა მოხსენებული. ლექსიკონი ფრანგულს ენაზე გამოდის და ჰქვიან Dictionnaire international des écrivains du jour (ხალხთა-შორისი ლექსიკონი აწინდელთა მწერალთა). ამ ჟამად, როგორც გვაცნობებს „მშაკი", ამ გაზეთის რედაქციას მოსვლია ოთხი წიგნაკი ასოდამ A ვიდრე C და მოამავალ მაისამდე რვა წიგნაკი გამოვა. მთელის წიგნის ხელ-მოსაწერი ფასი ეხლა 20 ფრანკია (ჩვენის ფულით 11 მანეთი მოდის) და როდესაც დასრულდება მთელის წიგნის ბეჭდვა, მკითხველებისათვის 25 ფრანკი ეღირება (ესე იგი თითქმის 14 მანეთი). უმეტეს ნაწილად ლექსიკონში მოხსენებულია იტალიისა, საფრანგეთისა, გერმანიისა, ინგლისისა და რუსის მწერლები. დანარჩენ ხალხთა მწერლებზედაც არის ცნობა, თუმცა შემოკლებით, მაგალითად, სომეხთა მწერლებზე. სასურველია, რომ ქართველს მწერლებზე ცნობაც ეგზავნებოდეს ბ-ნს გუბერნატისს, რომელიც ამ ორიოდე წლის წინად გაზეთების შემწეობით სთხოვდა ყველა ერთა მწერლებს თავისი ნაწარმოები წიგნები ან ჟურნალ-გაზეთები გაეგზავნათ იმისთვის ფლორენციაში და მასთან ერთად ცნობა თავის ცხოვრებასა, შრომასა და მოღვაწეობაზე. ნუ თუ ჩვენში არავინ გამოჩნდა ცნობის მიმწოდებელი? რა თქმა უნდა, რომ ეს ლექსიკონი ფრიად საჭირო სახმარებელი წიგნია მწერალთა და მცოდნე მკითხველთათვის. გამოცემულია მშვენივრად და ეტყობა რედაქციას მდიდარი მასალა ჰქონია ხელში.

*** მოსკოვში, 28 სექტემბერს, ბუნების-მეტყველებისა, ეტნოგრაფიისა და ანტროპოლოგიის მოყვარეთა საზოგადოების განყოფილების სხდომაზე თავ-მჯდომარეს, პროფესსორს ვ. თ. მილლერს, მოუხსენებია საზოგადოებისათვის, რომ ამ ზაფხულს სამეცნიერო აზრით მიმოუვლიათ: მ. ი. ტყეშელაშვილს სვანეთი, ი. შ. ანისიმოვს—ავარეთი (დაღისტანში) და ა. ს. ხახანაშვილს—თუშეთი. ამ გზობით სხდომას მოუსმენია ბ-ნის ტყეშელაშვილის მოხსენება: «საისტორიო და საეტნოგრაფიო აღწერა სვანეთისა». დანარჩენთა მოხსენებას საზოგადოება შემდეგში მოისმენს.

*** ქართლი: მოატანა შემოდგომა-ზამთარმა თუ არა, მიჰყვეს ხელი ოსებმა ქურდ-ბაცაცობას: იპარავენ უფრო რქიანს საქონელსა. ხალხი ქურდებთან რას გააწყობს უიარაღოდ და უპარაოდ. ეხლა, როგორც მოგეხსენებათ, ნაწილ-ნაწილად დაჰყვეს ყველა მაზრები; ყველა ნაწილს თავისი საკუთარი ბოქაული მიუჩინეს, რომელსაც ხალხმა დღის შემდეგ უნდა პირდაპირ მიჰმართოს ხოლმე საქმისათვის. თუ მაზრის უფროსთან მიხვალ საჩივრით, იგი შენს საქმეს გარდასცემს იმ ბოქაულს, რომლის საბოქაულოშიაც სცხოვრებ. მაგრამ ისე უხერხულად არის დღეს ჩვენი გორის მაზრა დაყოფილი, რომ კაცი ვერ წარმოიდგენს: ვიდრე შენ შენს ბოქაულს ინახავ, ანუ ვიდრე შენის ბოქაულის საცხოვრებელს ადგილას მიხვალ, მანამ,—საჭირო საქმე თუ გაქვს,—შენს საქმეს ბოლო ელება. ამასობაში მაზრის უფროსი-კი ახლოა; მაგალითად, ტყვიავის ბოქაულს მიაწერეს ისეთი სოფლები, რომელიც ცხინვალის საბოქაულოს ცხვირ წინ უდევს, და ისეთი სოფლებიც, რომელნიც გორის პირს მდებარეობს. ამას გარდა ამ ბოქაულს ეკუთვნის ცოტა რამ პატარა ლიახვის ხეობიდამ; წარმოიდგინეთ, ბერბუკელი კაცი უნდა გარბოდეს ტყვიავში ოცს ვერსზე, როდესაც გორიდამ სულ ორი ვერსია, ანუ ნიქოზელი კაცი, რომელიც ცხინვალიდამ ორს ვერსზე სცხოვრებს. მოხდა, ვსთქვათ, ქურდობა ამისთანა ადგილას; უნდა დამკარგველმა ირბინოს ტყვიავის ბოქაულთან, როდესაც ცხვირ წინა აქვს ცხინვალი და გორი. ამას გარდა ახალქალაქის ბოქაულს მტკვარ გამოღმით აწერია სოფლები, მაგალითად, ლეხურას ხეობა. წყალ-დიდობის დროს ახალ-ქალაქელი ბოქაული ვერ მისწვდება სრულიად ლეხურას ხეობას და ტყვიავსა კიდევ დიდ-ლიახვს გაღმით მდებარე სოფლებს.

*** გორიდგანა გვწერენ: მესამე მოსამზადებელი განყოფილება აქაურს სასულიერო სასწავლებელთან უკვე გაიმართა და ამ თთვის ხუთიდგან მოსწავლეებმა დაიწყეს სიარული. მასწავლებლად დაამტკიცა არქიელმა სასწავლებლის მეთვალყურე ბ-ნი ივანე კაპანაძე; კაპანაძის ადგილზე დაინიშნა ახლად კურს-შესრულებული სტუდენტი ტფილისის სემინარიისა, ბ-ნი არს. თოხაძე.

*** იქიდამვე: წელს გორში მყოფს ახალს „დრუჟინას" ხუთასი კაცი კიდევ უნდა მოემატოს, რადგანაც პოლკის შედგენას აკლია ხალხი. ამის გამო ხუთასის კაცისათვის სადგომს ეძებენ, რომ მოათავსონ სადმე იმ დრომდე, სანამ ყაზარმებს ააშენებენ. სახლის პატრონებმა სახლებს ქირა მოუმატეს. «დრუჟინის» გარდა აქ ამ ზამთრობით ერთი ბატალიონი სხვა ჯარისა იდგება, ასე რომ სახლის შოვნა არ არის. ზოგს სახლებიდგან ითხოვენ, რაკი ქირას ახარბებენ სხვები. ორი უბრალო ოთახი თუმანი გახდა თთვეში. შოვნა რომ იყოს, კიდევ კარგი.

*** ქვედა-აჭარიდგან გვწერენ: სექტემბრის დამლევს ჩვენის „უჩასტკის" სამმართველოს მოხელე ბ-ნი იოსელიანი, ღამით, მილიციის კაცებითურთ, წავიდა ფირალების ძმათა რიზმანა და რეზაყა თავაკოლლების დასაჭერად. ბ-ნი იოსელიანი დაჰხვდა ფირალებს ერთს წვრილს გზაზე, უდაბურს ტყეში. შეხვედრისათანავე ფირალებმა რამდენჯერმე თოფი ესროლეს იოსელიანს და იმის კაცებს; ამ ნაირად ასტყდა მათ შორის თოფის სროლა. ყაჩაღი რიზმანა იქვე მოკლეს და იმისმა ძმამ-კი თავს უშველა და ტყეში შევარდა. ბევრი სდიეს, მაგრამ რადგანაც ბნელი ღამე იყო, ვერ შეიპყრეს. ამ ყაჩაღმა ორის წლის წინად მოჰკლა ერთი თავისი მეზობელი და ამას შემდეგ კიდეც გავარდა. ამ ზაფხულს კიდევ მოჰკლა ერთი საწყალი კაცი, იმ დღეს, როცა აჭარაში სამხედრო გუბერნატორი სტუ-

---

ახალგაზდა ყმაწვილი სასახლეში მსახურებდა და, მაშასადამე, ძალა-უნებურ ხშირად უნდა შეჰხვედროდა დედოფალს. ეს გარემოება ჭირზე-ჭირს უმატებდა. გამოემჟღავნებინა თავისის სულის ტანჯვა, ვერ გაებედნა,—დედოფალი არ მოიწონებდა, გარისხდებოდა. დედოფალი სასტიკად ეპყრობა როგორც თავისს თავს, ისე სხვებს; თითონ წმინდად, ხელ-შეუხებლად ასრულებს ცოლისა და დედის მოვალეობას, და წმინდის, უკოდველ გულითა სწამს, რომ სხვებიც ასე უყურებენ თავიანთს მოვალეობას. ამბობენ, ძნელად მოიძებნება ასეთი გულკეთილი და უბრყვილო დედაკაცი!

უნუგეშო მოტრფიალემ ყველა ეს კარგად იცოდა, ამიტომაც უფრო ვეღარ აიტანა „შორით ბნედა, შორით კდომა, შორით დაგვა, შორით ალვა" და განიზრახა თავის მოკვლა. მხოლოდ შემთხვევით ვერ მოიყვანა სისრულეში თავისი განზრახვა,—სასახლეს მოაშორეს...

წადი, შორს წადი, უბედურო, გაიქე მალე, გაიქე, უკან აღარ მოიხედო! დრო არის უკეთესი მკურნალი, დრო არის უებარი წამალი, დამამშვიდებელი მალამო გულის წყლულისა, გულის ჭრილობისა!

**

მარტო უცხოელნი არ იდრეკენ მუხლს დედოფალ მარგარიტას წინაშე თვით იტალიაშიაც ბევრი ჰყავს თაყვანის-მცემელი დედოფლის სიმშვენიერეს. ამათში ურევია, სხვათა შორის, გამოჩენილი პოეტი კარდუჩი, ერთგული მომხრე იმ დასისა, რომელსაც რესპუბლიკის შემოღება ჰსურს იტალიაში.

დედოფალმა არა ერთხელ მოისურვა სახელოვანის პოეტის ნახვა, მაგრამ კარდუჩი, როგორც რესპუბლიკანელი პოეტი, ვერა ჰბედავდა სასახლეში მისვლას. ბოლოს, როგორც იყო, გაბედა, ნახა დედოფალი. დედოფლის მშვენიერებამ საოცრად იმოქმედა კარდუჩიზე: პოეტს დედოფლის სახე გულში ჩაესახა უნებლიედ, ნაზად, ტკბილად დაიწყეს ჟღერა გულის სიმებმა,—პოეტმა ვეღარ მოითმინა: ნაზად ჩამოჰკრა ხელი ჩანგს და მშვენიერი, უზენაესის სიყვარულით ჩაგონებული ლექსი უძღვნა დედოფალს.

რესპუბლიკელებმა ძრიელ იწყინეს ეს ამბავი, ღალატი შესწამეს საბრალო პოეტს. პოეტმა მხოლოდ იმითი იმართლა თავი, რომ პოეტს, თვით უუკიდურესს რესპუბლიკანელსაც, ეპატიება მსხვერპლის მიტანა მშვენიერების საკურთხეველზე, თუნდ უუთვითმპყრობელესიც იყოს ეს მშვენიერებაო.

პოეტს აპატიეს ეს შეცოდება! ან კი როგორ არ აპატიებდნენ? ოლიმპზე ღმერთებიც სცოდავდნენ, მაგრამ ადამიანი არა სჯიდა!

განა პოეტებს-კი ღვთის მადლი არა სცხიათ, განა იმათი ადგილი-კი ოლიმპზე არ არის?!

როდესაც გამწარებული, გულ-დამწვარი პოეტი თვალებში ცრემლ-მორეული ამბობს:

ჰოი დედანო, მარად ნეტარნო!..

რა ცოდვას არ აპატიებ პოეტს ამ ოთხის სიტყვის გულისათვის, თუნდაც ისეთს მომაკვდინებელს ცოდვასაც, რომ „მუშა ხალხზე", „საწყალს ქუჩის ბიჭ-ბუჭებზე" არაფერი დაუწერია.

„სანდალა"? „სანდალა" აპატიებს? რასაკვირველია, არა? მაგრამ განა პოეტი-კი, ლოცვა-კურთხევის მაგიერ, წყევით არ მოიხსენებდა „დედებს", თუ-კი სცოდნოდა, რომ ოდესმე ეს დედები „სანდალებს" აღზრდიდნენ?!.

**

აქ მინდოდა წერტილი დამესვა და დღევანდელი საუბარი გამეთავებინა. მაგრამ, რადგან ადგილი ნებას მაძლევს, სიტყვას კიდევ გავაგრძელებ. რაკი ლაპარაკი იტალიის სამეფო სახლზე ჩამოვარდა, ბარემ ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვა თვით იტალიის მეფე ჰუმბერტოზედაცა ვსთქვა.

მეფე ჰუმბერტო ვერ დაიკვეხნებს ვერც სილამაზეს, ვერც ტანოვანობას. თუმცა ბევრსა სცდილობს, რომ ახოვანი გამოჩნდეს, ყოჩაღად დაიჭიროს თავი, ცოტა მრისხანე სახის გამომეტყველებაც იქონიოს, მაგრამ ეს ცდა უფრო ახდენს შთაბეჭდილებას, ვიდრე ჰშველის რასმე. ისე-კი გულ-კეთილი და ადამიანის მოყვარული კაცია. თუმცა რბილის ხასიათის კაცია და ხალხსაც ძალ ან კარგად ექცევა, მაგრამ თავი მაინც ისე ვერ შეაყვარა იტალიელებს, როგორც იმისმა მამამ ვიქტორ-ემანუილმა.

ვიქტორ-ემანუილი უფრო გამჭრიახი და ჭკვიანი კაცი იყო, ვიდრე შვილი, დღევანდელი მეფე იტალიისა; ამასთან მხიარული და ქეიფის მოყვარე. ფულის ანგარიში არ იცოდა, მხოლოდ ეს იყო იმისი ნაკლი, და ამიტომაც ისეთი აუარებელი ვალი დაუტოვა შვილს, რომ ჰუმბერტო დღესაც ვერ ამოსულა ამ ვალებიდამ. სხვათა შორის ესეც არის იმისი მიზეზი, რომ ჰუმბერტო ძალიან გაფრთხილებით და ხელ-მოჭერით სცხოვრობს.

ახალგაზდობაში არც ჰუმბერტომ დააკლო და თავისი სიჭაბუკე ამანაც მოჰამა, თუმცა გაუფრთხილებელმა და გადაჭარბებულმა «ცხოვრების სიამოვნებამ» ცოტა არ იყოს თავისი ბეჭედი დაასვა ამის ჯანის სიმრთელეს. დღეს სასტიკადა აქვს აღკრძალული ექიმებისგან ყოველ გვარი გადაჭარბება.

**

ჰუმბერტო მამას არა ჰგავს ხასიათით, უფრო დაღვრემილია, გულჩახვეული. მამა-კი ახალგაზდობაშიაც და სიბერეშიაც მხიარულობას არასოდეს არა ჰკარგავდი. პოლიტიკა ყველა თავისს მინისტრებზე უკეთ ესმოდა და ამიტომაც დიდს ყურადღებას არ აქცევდა იმათ რჩევას. რაც უნდა დიდი და გაჭირებული საქმე ყოფილიყო, ვიქტორ-ემანუილს მაინც გულის სიმშვიდესა და მხიარულობას ვერ შეუშლიდა. აი, სხვათა შორის, ერთი ამბავი, რომელიც ცხადად გვიხატავს ვიქტორ-ემანუილის ხასიათს.

უკანასკნელ რუსთ-ოსმალთ ომის დროს იტალია საქმეში არ გაერია, განზე დადგა. გარეშე საქმეთა მინისტრს, მელეგარს, უნდა შეედგინა ქაღალდი ამის შესახებ. მელეგარმა შეადგინა ეს ქაღალდი და წაიღო მეფესთან წასაკითხად. მეფე ჯერ ისევ ლოგინში იწვა. მელეგარმა დაიწყო კითხვა. ვიქტორ-ემანუილს არ მოეწონა ქაღალდი და კითხვა არ გაათავებინა მინისტრს. მხოლოდ პირდაპირ-კი არ ჩააჩუმა, რომ ძლიერ არ ეწყენინებინა. მინისტრი შუა კითხვაში იყო, რომ ვიქტორ-ემანუილმა უცებ საშინლად გადიხარხარა და მინისტრს ბალიშები დაუშინა. რასაკვირველია, კითხვა შესწყდა და ხელ-მეორედ აღარც დაუწყიათ. მინისტრიც სიცილს მოჰყვა.

ცხადია, მინისტრი მიჩვეული იყო ასეთს ხუმრობას! მეცნობი, პოლონიუს!..

დონ-იაგო

მრად ბძანდებოდა. ამბობენ, ამ ყაჩაღს განზრახვა ჰქონდა თავს დასცემოდა თავისს მტრის ხისიმებს და შემდეგ ოსმალეთში გადავარდნილიყო, მაგრამ ვერ მოუხერხდაო.

*** იქიდამვე გვწერენ: წელს, მადლობა ღმერთს, სიმინდები გვარიანია. ვგონებთ, სიმინდი აღარ დაძვირდეს საყიდლად, როგორც წინა წლებში. სამაგიეროდ ძლიერ ნაკლებად არის ხილი — ეს უმთავრესი სახსარი ჩვენის ცხოვრებისა. წელს აჭარაში სხვა-და-სხვა ავადმყოფობა გაჩნდა: ბოლმაჯა (ყელის ტკივილი) და ხან ყიავანა ხველა (კოწიწა); ყვავილი ბატონებისა გაჩნდა აქა-იქა და საჭირო იყო, რომ ერთი ყვავილის ამცრელი მაინც დაენიშნათ ჩვენთვის.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

კახეთი. წელს გაზხულში ისეთი პირი უჩანდა ნამუშავარს, რომ ერთი იმისი დანახვა ადამიანს სულსა და გულს უხარებდა. ადრეულს ყანებში ცხენი ვერ გამოჩნდებოდა, ლურჯად აბიბინებული სიმინდი ზღვასავით იდგა და საამურად ჰღელავდა; ვაზზე ხომ ისე ეყარა პაწია მტევნები, რომ თითქმის ფოთლები აღარა სჩანდა. მიწათ-მოქმედის სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. ხშირად გაიგონებდი გლეხებისაგან: «თუ ღმერთმა გვიბრალა და წელს ეს ნამუშავარი არ გაგვიფუჭა, კახეთი ვალიდგან ამოვა და მოვალეებს თავიდგან მოიშორებსო». ასე ოცნებობდნენ და ასე უტკბებოდათ გული მხვნელ-მთესველთ თიბათვემდე. თიბათვის ორსა და სამს დაჰკრა საშინელმა ცივმა ჰაერმა, თან მოჰყვა გაშმაგებული გრიგალი ქარი, რომელმაც მირეგვ-მორეგვა ხეხილი და სხვა მცენარე. ამ ქარს მოჰყვა ვენახების გამანადგურებელი მტერი „მილდიუ“ (გლეხობა-კი ერთ-ხმად ამბობდა: თიბათვის ცივმა თელხმა დასძრა ვენახებიო), რომელმაც მოსწყვიტა წელი ნამუშავარსა და უგულმა დაატრიალა. ვაზის ფოთოლმა დაიწყო ხმობა და მტევნებმა ჭკნობა. პაწია ქორფა მტევნებისათვის ხელი რომ გეხლოთ, ცქრიალით ცვივდებოდა მარცვალი ძირს. გასაკვირველი ის იყო, რომ ყოველ ამ გვარად გაკიმპლულ მტევანს რჩებოდა ზედ რამდენიმე საღი მარცვალი. მოსავალში და ვაზის სიავკარგეში დიდი განსხვავება იყო, არამც თუ სოფლიდგან სოფელში, არამედ თვითოეულს უბანსა, თვითოეულს ზვარში. თავსა და ბოლოში რომ წამხდარი ყოფილიყო ზვარი, შუა წელში კარგი იყო. ამ გვარადვე განესხვავებოდა სოფელი-სოფელს, ზვარი-ზვარს და თვითოეულის ზვარის ნაწილები ერთმანეთს. უფრო გაფუჭდა „მწვანე“ ნაცრისაგან.

წელს რის მოლოდინიც ჰქონდათ კახელებს, იმისი მეათე ნაწილი ღვინო არ დასდგომიათ; მაგრამ რაც გამოვიდა, სამაგალითო „კახურია“. შირნახულის მოსავლის იმედიც გაუცრუვდათ: მაისისა და თიბათვის გამუდმებულმა წვიმებმა აადღუა ყანები და შემოსვლით-კი არ შემოიყვანა, დაჰკრა მკათათვის გამუდმებულმა საშინელმა სიცხემ და ერთბაშად აშუშა და მალად მოამწიფა. ასე უამინდოდ შემოსულმა შირნახულმა მარცვალი ვერ დაისრულა და კალოზედაც ხვავი ნაკლები გამოდიოდა. უმეტესი ნაწილი სიმინდებისაც შულინტი, შემოუსვლელი აჩეხეს, რადგანაც მკათათვის სიცხემ ჩალა ღეროიანად ასხმო.

წელს ვერც თავის დროზე უგდეს ყური ნამუშავარს და ვერც დროზე შემოიტანეს, რადგანაც მუშა ძალიან დაძვირებული იყო. მკელ-მთიბველს დღეში ხარჯს 80 კაპ. აძლევდა გლეხი და მაინც ვერა ჰშოულობდა მუშას.

არც წრევანდელი დღეობები ჰგავდა ჩვეულებრივს: მეოთხედი ნაწილიც არ იკრიბებოდა ხალხისა. მიზეზი, რასაკვირველია, ის იყო, რომ ხალხს არ ეცალა: „ალავერდობას“, სადაც მთელი მთისა და ბარის კახელ-ქართლელი იყრის თავს, ძალიან ცოტა ხალხი დაესწრო და ვინც იყო, ისინიც უგუნებოდ დაბრუნდნენ ერთის შემთხვევის გამო. აი ეს შემთხვევაც: „ალავერდობას“ იმართება ორის კვირით იარმუკა-ბაზარი. აქ ჰმართავენ დუქნებს არა მარტო თელაველები, არამედ სიღნაღელნი, ქალაქელნი და სხვანიც. ამოდენა მოვაჭრეებს დუქნების რიგზე დაწყობა ესაჭიროებოდა, რომ ხალხისათვის საკმაო გასავლელ-გამოსავლელი გზა ყოფილიყო. ამას მიაქცია ყურადღება ჯერ კიდევ ბ-ნმა გუბერნატორმა არლოვსკიმ, რომელმაც უბრძანა ადგილობრივ მოხელეს გზების გეგმის შედგენა და შუა ადგილს ბაზრის გამართვა. ბრძანებაც აღასრულეს. ჩაავდეს ბარაქის ბოძიც, რომელიც სიგრძით ათი საჟენი გამოვიდოდა. მას აქეთ თავში არავის მოსვლია ბოძი გაესინჯა, ან ჩაენაცვლებინათ მიწაში; წელს გასინჯვა-კი არა, მეტიც უყვეს; როცა ხალხით სავსე იყო მთელი მიდამო, ვიღაც შეზარხოშებულთ მიაბეს ზედ თავიანთი ცხენები და თითონ-კი იქვე დუქანში შეკრნენ და „ნუნუას“ დაეწაფნენ. ამ დროს ვიღაცამ ცხენებს ახლო ბალახი გაატარა, მშიერმა ცხენებმა გაიწიეს, ოდნავ შეარყიეს დამპალი ბოძი, რომელიც მაშინვე მოსტყდა, წამოვიდა ძირს, მოხვდა ორს გლეხს, ერთი რუისპირელი გლეხი იქვე გააქრო და მეორეს-კი ხელი მოსტეხა.

„სწორზე“ უფრო ქეიფიანად იყო ხალხი. თუმცა იმ ღამეს ძალიან შეაწუხეს წვიმამა და კინტო-ჯიბგირებმა, მაგრამ სამაგიერო მწარე დღე მეორე დღეს დააყენეს თუშებმა ჯიბგირებს, რომელსაც-კი მოასწრეს ქურდობაზე — ისე დანაყეს ცემით, რომ, მგონი, მნელად თუ ადამიანებად გამოდგებიან. „სწორი“ კიდევ იმითი იყო შესანიშნავი, რომ ერთმა 30—35 წლის თათარმა ალიმ (ახლა ალექსიმ) მართლ-მადიდებლობა მიიღო. ალის მონათვლაზე დიდ-ძალი თათარი დაესწრო. მთავრობის წყალობით, საერთოდ კახეთში და განსაკუთრებით თელავში მშვენიერი გზები და ბოგირები დაკეთდა. გააკეთეს აგრეთვე ალაზანზე ხის ხიდი, რომელიც ამ დღეებში იქნება მზად. ჩვენ ის გვიკვირს, რომ იმისთანა დაუდეგარს წყალზე, როგორიც ალაზანია, რომელზედაც მთელს ორს მაზრაში ზედ ხიდი არ მოიძებნება, ხის ხიდი გააკეთეს და არა რკინისა. ბოძები ფიჭვისა აქვს და ისიც წვრილები. მცოდნე კაცები ძველის ხიდის მუხის ძველს ბოძებს ამჯობინებენ სიმაგრით. ხიდი, როგორც ამბობენ, საკმაოდ ძვირად დამჯდარა.

მეთვალყურე

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

თქვენის გაზეთის უკანასკნელს ნომერში თეატრის რეცენზენტი ძლიერ ჰკიცხავს დრამატიულს საზოგადოებას, „ქმრების დამონავება“ რად წარმოადგინა თქვენმა დასმაო. ამ პიესაში, რომელიც ეკუთვნის ოსტროვსკის, „უბედობისა და მიდებ-მოდების“ მეტი არა არის-რაო. „ივერიის“ იმავ ნომერში დიდად ნაქებია ვიდდეს პიესა „Въ помѣстьи г-жи Новодаевой“ («აზრიანი და შინაარსიანიაო», ბძანებს ბ. რეცენზენტი), რომელიც წარმოადგინა ამ დღეებში ბ-ნის ფორკატტის რუსის დასმა.

ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ დრამატიულ საზოგადოების მმართველობა პიესების არჩევაში ხელმძღვანელობს არა მარტო თავის „გაშტერიახობითა და ცოდნით“, როგორც ბრძანებს ბ. რეცენზენტი. იმ მრავალ კრიტიკულ თხზულებაში, რომელიც-კი დაწერილია ხსენებულ მწერლებზე, მმართველობას არსად არ ამოუკითხავს, რომ ვიდდეს უკეთესი პიესა ოსტროვსკის უკანასკნელ პიესას სჯობდეს. ამის წინააღმდეგ რუსულ კრიტიკაში ერთ-ხმად დამტკიცებულია, რომ ოსტროვსკის პიესა (როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი), რაც უნდა სუსტი იყოს, ყოველთვის აზრიანია და შინაარსიანი და ვიდდესიკი — უშინაარსოა და უაზრო. მაგრამ „ივერიის“ რეცენზენტს სულ სხვა შეხედულობა ჰქონია ამ საგანზე და დრამატიულ საზოგადოების მმართველობა დიდად დამნაშავედ გამოდის, რომ ის ვერა ჰხედავს ამ ახალს წინასწარმეტყველს თავგანი სცეს.

ამას გარდა ბ-ნი რეცენზენტი ბძანებს მეტად ზრდილობიანად, „ახალის ნამუდრაგალსა, ისევ ძველის სჯობიაო ჩანჩალი“. რაკი ჩვენს კრიტიკოსს ოსტროვსკი არ მოსწონს, მას, რასაკვირველია, უნდა მოეწონოს ის ძველი ბალაგნური და კინტოური პიესები, რომელთ წარმოდგენა დრამატიულ საზოგადოებასაცა და პუბლიკის განათლებულს ნაწილსაც სამარცხვინოდ მიაჩნიათ.

ბოლოს ბ-ნი რეცენზენტი ეკითხება თეატრის გამგებელთ: ვინ დაჰრთო ნება ბ-ნს ყიფიანს, რო ცალკე პირი პუბლიკის ნიშნობლივ გამოიყვანოს სცენაზე და სასაცილოდ აიგდოსო. ამაზე შეიძლება ვკითხოთ ბ-ნს რეცენზენტს: ვინ დაგრთოთ თქვენ ნება იცნოთ სცენაზე ცალკე პირი პუბლიკის ნიშნობლივ, როცა არავის განზრახვად არც ჰქონია ასეთი უკადრისი საქციელი, როგორც სასაცილოდ აგდება ცალკე პირისა. გოგოლმა სთქვა, რო ისე ტიტულიარნი სოვეტნიკი ვერ გამომიყვანია მოთხრობაში, რო ყველა ტიტულიარნი სოვეტნიკებს ეს არა ეწყინოდეთო.

დრ. საზოგადოების მმართველობის წევრი

# უცხოეთი

ავსტრი-უნგრია. „Times“-ს სწერენ ვენიდამ: იმპერატორმა ვილჰელმმა ვენაში ყოფნის დროს დიდი გაჭირება გამოიარა ზრდილობისა და თავაზიანობის გამო. მოსვლისათანავე ვენაში წამ-და-უწუმ იცვლიდა მუნდირსა და ორდენებს და ან სხვასთან დადიოდა სადარბაზოდ, ან თვითონ იღებდა სხვა-და-სხვა დიდებულთა და სახელმწიფო კაცებს. იმისი ეტლი განუწყვეტლივ მიჰქროდა ხან ერთის ჰერცოგის სახლისაკენ, ხან მეორისაკენ. გზაში კიდევ იმპერატორი იძულებული იყო თავი ეკრა ხალხისათვის, ან ხელით ეკეთებინა „ჩესტი“. დაბრუნდებოდა სახლში და იქ კიდევ ელოდნენ მინისტრები, გენერლები, დიდებულნი. თუმცა ამდენი გაჭირება გამოიარა და ერთი წუთიც მოსვენება არა ჰქონდაო, მაგრამ მაინც კარგს გუნებაზე იყო და ერთხელაც არ მოღრუბლულა იმისი სახე ხალხშიო.

გერმანია. დ—რი გეფკენი, იმპერატორის ბრძანებით, ჰამბურგიდამ მოაბიტის ციხეში გადაუყვანიათ. გამომძიებელმა ბირშფელდმა მისვლის მეორე დღეს ჩამოართვა ჩვენება გენერალ-პროკურორის თანადასწრებით.

— გეფკენს მიუნდვია თავისის ადვოკატისათვის დოქტორ ვოლფსონისათვის, დიდი წინააღმდეგობა გამოაცხადე, თუ სასამართლომ სთქვა, ვითომ მე ისეთს მდგომარეობაში ვარ, რომ არ ვიცოდე რას ჩავდივარ და პასუხის გება არ მიმეთხოვებოდესო.

საფრანგეთი. პალატის კრება ამ დღეებში დაიწყება და პირველი საქმე, რასაკვირველია, კანონ პროექტის განხილვა იქნება კონსტიტუციის გადასინჯვის თაობაზე. ეს კანონ-პროექტი უკვე შედგენილია და მთავარ-მინისტრმა ფლოკემ უნდა წარუდგინოს პალატას. ზოგი წინააღმდეგია ამ კანონ-პროექტისა, ზოგი მომხრეა. ერთი ნაწილი რადიკალებისა, ზოგიერთი რესპუბლიკელნი და ზოგიერთი კიდევ სხვანი წინააღმდეგნი არიან კანონ-პროექტისა და ამტკიცებენ, რომ ეგ საქმე დაჰღუპავს რესპუბლიკასაო. მაგალითად, მადიე-დე-მონჟო, მეტად გულ-წრფელი რესპუბლიკელი, პირში მთქმელი და მართალი მოხუცი, ამბობს: უფრო იმას ვირჩევდი, მოღალატე და იუდა დაეძახნათ ჩემთვის უფლისა და უგუნურებისაო, ვიდრე მომხრეობა გამეწია ეხლა, ამ დროში კანონ-პროექტისათვისაო. ეგ კანონ-პროექტი კარს გაუღებს დიქტატურას და დაჰღუპავს რესპუბლიკასაო. მაგრამ ფლოკეს მომხრეებიცა ჰყავან და აქეზებენ, კანონ-პროექტის წარდგენა აუცილებელი საქმეა და პატიოსანი საქმეცაო. კლემანსომაც ნათლად გამოსთქვა თავისი აზრი ამ საგანზედ: ფლოკემ წინადვე სთქვა, როცა ჯერ მინისტრობა არც-კი მიეღო, რომ ქვეყნის ბოროტება დაძველებულის კონსტიტუციის ბრალიაო. ახლა ფლოკეს უნდა თავისი სიტყვა აღასრულოს და ძალიან პატიოსნადაც იქცევა. ეს საქმე მარტო კერძოდ მისის პატიოსნების საქმეც არის და მთელის ჩვენის ქვეყნისათვისაც დიდი ბედნიერებაა. ფლოკემ კარგად იცის, რომ თუ კონსტიტუცია არ გადისინჯა, სხვა სასიკეთო ცვლილება ვერა მოხდება-რა. ფლოკემ იცის, რომ ეს საქმე პირველია, სიკვდილ-სიცოცხლის საქმეა. უნდა ვიცოდეთ მართლა, შემდეგშიაც ამ ძველს კონსტიტუციას მოახვევენ თავზე რესპუბლიკას, თუ არა. ამ ძველის სარეაქციო კონსტიტუციისაგან შეხუთულნი ვართ და ვიხოცებით. აი ფლოკეს უნდა ეს საგანი წარუდგინოს პალატას, შეიკრიბება თუ არა იგი. ამიტომ ეს საქმე იმისის მხრით არა მარტო პატიოსანი საქმეა და იმისის გულადობის მომასწავებელი, არამედ საბუთია იმისის შორს-გამჭვრეტელობისა და სიბრძნისაცა.

აი ასეთი ორი, ერთმანეთის წინააღმდეგი აზრი ტრიალებს კონსტიტუციის გადასინჯვის გამო საფრანგეთში და ვნახოთ რომელი გაიმარჯვებს იმ ბრძოლაში, რომელიც პალატის შეკრების უმალვე ასტყდება.

# წვრილი ამბები

ამ ქვეყნად ახალი არა არის-რა და ქალის მიერ კოხტა-პრუწაობა და პრანჭვა-გრეხა ხომ პირველი არ არის და არ არის. სილამაზის განკარგვასა და გაუკეთესებას სცდილობდნენ ძველად უფრო, ვიდრე ეხლა. ეხლა ყველა უფრო ჯან-მრთელობას აქცევს ყურადღებას და ფერ უმარილსა და სხვა ამ გვარს საშუალებას კი მეორე ადგილი უჭირავს. ძველად-კი ამ გვარს წამლებს დიდს მნიშვნელობას აძლევდნენ. ბევრი ლამაზი ქალი შეიძლება ჩამოსთვალოს კაცმა ისეთი, რომელთაც თხზულება დაუწერიათ, თუ როგორ უნდა შეირჩინოს ქალმა საკოსმეტიკო საშუალებით სილამაზეო. ელენე, აგარისტა, კალიკსენა, არისტონა და აგრეთვე ცნობილი ფრინა საგანგებოდ სწავლობდნენ სილამაზის შერჩენისა და მოვლის ხელოვნებას. მშვენიერმა ასპაზიამ მთელი თხზულება დასწერა ორ ნაწილად, რომელშიაც სხვა-და-სხვა საშუალება იყო ჩამოთვლილი სილამაზის შესარჩენად. ლამაზი კლეოპატრა ძალიან ჰზრუნავდა თავისის საკუთარის სილამაზის შერჩენას და ამასვე ურჩევდა სხვა ქალებსაც. ბოლოს დროს თათრის ქალი სავინა, ტამერლანის რძალი, ამ გვარსავე ზრუნვაში იყო ყოველთვის და თავს უფრთხილდებოდა. ნერონის ცოლი, პოპეა, რომელმაც კეკლუცობით ყველა ქალებს გადააჭარბა (ამბობენ, რომ იგი სადაც უნდა წასულიყო, თან 500 ვირი დასდევდა, რადგან ვირის რძეში ჰბანაობდაო), ისე ჰზრუნავდა თავისის სილამაზისათვის, რომ ნიღაბიც-კი გაიკეთა კანის დასარბილებლად. ეს ნიღაბი რძეში მოდუღებულის ტესტისა იყო. შემდეგ სხვა ქალებმაც დაიწყეს ამ ნიღაბის ტარება. ბერძენთა ქალები ჰხმარობდნენ წარბ-წამწამთა გასაშავებლად პომადას „cystus creticus“-ს. ჰენრიხ მე-III ჰხმარობდა უბრალო სორბლის ფქვილს, კვერცხის ცილაში აზელილს, კანის დასარბილებლად. მითოლოგიაშიაც-კი იყვნენ კოსმეტიკის ღმერთნი. ეპოპას, აგლაიას და სხვათა საკოსმეტიკო წამლები ციდგან ჩამოაქვსთ. ეგვიპტელებს ღმერთი ბეზი გამოქანდაკებული აქვსთ სურნელოვან წყლების ჭურჭლებზე. აზალაილი წარღვნამდე ურჩევდა ქალებს, რომ ფერ-უმარილი წაისვით, რათა უფრო გალამაზდეთ და გამშვენიერდეთო. ახალმა მრეწველობამ დიდი ზარალი მისცა საკოსმეტიკო საშუალებათ. როდეს ენციკლოპედიაში «Manuel des Parfumeurs»-ი 65 საშუალებაა დასახელებული ისეთი, რომელშიაც საწამლავი ურევია. სილამაზისათვის გაკეთებულს საშუალებაში-კი არავითარიმე მავნებელი წამალი არ უნდა ერიოს, იმ დრომდე მაინც, ვიდრე ქალები სულ თავს დაანებებენ ამ გვარ საშუალებათა ხმარებას.

# გასართობი

ერთი უცნაური თეატრი აქვსთ პარიჟელებს. მხოლოდ ისეთს პიესებს თამაშობენ ამ თეატრში, სადაც ჭირვეული, ინჯერიანი, ქმრების სიცოცხლის გამამწარებელი ქალები არიან გამოყვანილი. აქამდე ამ თეატრს „du Gymnase“-ს თეატრი ერქვა, ახლა დაურქმევიათ „Théatre de Madame“. არტისტი ქალები სულ კარგი მოთამაშენი არიან და ძალიან ლამაზები. ამ თეატრში წარმოუდგენიათ წელს ორის ავტორის პიესა „ჭირვეული ქალი“. აი მოკლედ შინაარსი ამ პიესისა: ანტონინა

შამუაზელს შეურთავს ქმრად გრაფი დე-პონ-ჟიბო. ცოლს უყვარს ქმარი, ქმარს უყვარს ცოლი, მაგრამ მუდამ უსიამოვნობა აქვსთ, რადგან ცოლი მუდამ დღე სიცოცხლეს ამწარებს ქმარს თავისის ინქერიანისა და ჭირვეულის დედის ჩაგონებით. ცოლს უნდა, რომ ქმარმა ყოველივე ისე გააკეთოს, როგორც იმისი ნებაა; ყველაფერში ცოლს ემორჩილებოდეს და იმისი ყურ-მოჭრილი ყმა იყოს. როცა ქმარი მოვა სახლში, ის მირბის სახლიდამ; ქმარი წავა და ის სახლში რჩება. თუ ქმარი ნდობით ეპყრობა, ცოლი ამას გულგრილობას ეძახის; თუ ეჭვიანობას გაჰბედავს, მტარვალი ხარო, ეუბნება. მოთმინებიდამ გამოსული ქმარი ამბობს, რომ ამაზედ მეტი აღარ შემიძლიანო. მაშ გამეყარეო, უპასუხებს ცოლი. გაყრა უმიზეზოდ არ შეიძლებაო, უხსნის ქმარი. მიზეზს ვიპოვი, საყვარელს გავიჩენო. ვერავის ვერ აიყვან, არავის იცნობო. ვინც მომხვდებაო, იმას ავიყვანო—იძახის გაწიწმატებული ცოლი, იღებს კალენდარს, გადაშლის და დაურჭობს ქინძისთავის წვერს იმისს სახელსა და გვარს, ვინც მოხვდება. ეს კაცია კონდიტერი შაპლუ. „აი ეს შაპლუ იქნება ჩემი საყვარელიო!“—იძახის ქალი და გული მისდის. ვიდრე ქმარი ძმარსა და წყალს მოიტანს, ცოლი მირბის კონდიტერთან. მეორე მოქმედება შაპლუს საკონდიტეროშია. შაპლუ ახალგაზდა, კოხტაპრუწა, ჭიმია ვაჭარია და უყვარს ვილაც ქვრივიქალი სიდონია, რომლის წერილსაც კითხულობს. გრაფის ცოლმა შაპლუს წიგნი მისწერა სიყვარულისა წინად, მაგრამ ეს წიგნი მოახლე გოგომ არ გაჰგზავნა, რადგან ყური მოჰკრა ცოლ-ქმრის ჩხუბსა და მიხვდა, რომ ჯიბრი იყო ქმარსა და ცოლს შუა. გრაფის ცოლს შერცხვება, ვერას ეტყვის შაპლუს და შეუკვეთავს მხოლოდ პიროჟნებსა და დაბრუნდება უკან. წავა ისა და შემოვა თვით გრაფი პონჟიბო. გამწყრალი და განრისხებული გრაფი მოღრუბლულია და წარბ-შეჭმუხვნული. ეუბნება შაპლუს, რომ წიგნს ნურას დაუჯერებ, თორემ შერცხვენილი ქმარი პასუხს მოგთხოვსო. საწყალს შაპლუს ჰგონია, რომ სწორედ ჩემის ქვრივის სიდონიას ქმარი გამოჩენილა სადმე და ეს კაცი იმას მეუბნებაო. აქ მრავალი ახირებული და საცინელი სცენა ხდება, ურთიერთის გაუგებრობისაგან წარმომდგარი, ესრედ წოდებული qui pro quo. პიესა იმითი თავდება, რომ ანტონინა, ცოლი გრაფისა, შეინანებს თავისს საქციელს და მიდის შაპლუსთან, რომ თავისი წერილი უკან გამოართვას. აქ მოასწრობს ამ დროს ქმარი. ცოლი იმალება მაღაზიის უკანა ოთახში. გრაფი ჰპოულობს მაინც თავისს ცოლს და ახლა-კი, მთლად გადარეული და განრისხებული, ითხოვს ცოლისაგან, ეხლავ გამეყარეო. ბოლოს ცოლი ეტყვის, რომ აქ კომფეტები შევუკვეთე, მალე ნათლობა მოგველისო. ნათლობას რომ გაიგონებს, მხოლოდ მაშინ დამშვიდდება ქმარი და შეურიგდება თავისს ჭირვეულს ახალგაზდა ცოლს. ასე თავდება ეს პიესა.

# დეპეშა

7 ოქტომბერი

პეტერბურგი. დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე მეუღლითა და ყმაწვილებითურთ გუშინ საზღვარ-გარეთ წავიდა.

ხარკოვის სამხედრო ოლქის მხედართ-მთავარი გენერალი რადეცკი დაინიშნა კიევის სამხედრო ოლქის მხედართ-მთავრად.

ბერლინი. 1887 წლის ხარჯთ აღრიცხვის გამოქვეყნებამ კარგი ზედმოქმედება იქონია აქაურს ბირჟაზე. რუსის ქაღალდის ფული კარგს ფასებზე სდგას, ფონდებს აწევ-დაწევა ფასებისა არ ეტყობა.

პორტ-საიდი. აქ მოვიდნენ დიდი მთავრები სერგეი და პავლე ალექსანდრეს ძენი და მისი უმაღლესობა ელისაბედ თეოდორეს ასული.

სოფია. საფინანსო მდგომარეობა საშიშოა. ოფიცრებს, ეს ორი თვეა, ჯამაგირი არ მიუღიათ; თან სასესხებლადაც ვერა შოულობენ ფულსა და ამიტომ ძალიან სჩივიან.

პეტერბურგის ბირჟა, 4 ოქტომბ.

| | მყიდველ-თა. | გამყიდველ-თისა. | გაყიდულ-თისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 51 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 150 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 16 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 261¼ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 237 |
| გირავნობის ფურცლნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელი წადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—ეპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

ღვინობისთვე 31 დღით არის

8 დღე შაბათი. ღირსისა პელაგიასი. კათოლ. ნესტორისა. სომეხ. მესროფისა. ელიშესი, მოსესი და დავითისა. მუსულ. მე-15 რიცხვი თვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—18, ჩადის 5—11. მთვარე 15 დღისაა.

9 დღე კვირა. მოციქ. იაკობისა და ათანასესი. კათოლ. ბოგდანისა. სომეხ. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მუსულ. მე-16 რიცხვი თვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—20, ჩადის 5—10. მთვარე 16 დღისაა.

10 დღე ორშაბათი. წამ. თეოფილესი. კათოლ. ფრანცისკასი. სომეხ. პოვნა წმ. გრიგოლის ნაწილთა. მუსულ. მე-17 რიცხვი თვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუადღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—21, ჩადის 5—8. მთვარე 17 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | . 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | . 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . | . 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . | . 4 | |
| მე-3 — . . | . „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . | . 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი . . | . „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

## მამიდა ასმათი

მოთხრობა

გ. წერეთლისა.

გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.

ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

## დედა-ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და ათს ცალს,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:

Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.

## რვეულები ქართულის წერისათვის,

გოგებაშვილის დედანთან სახმარებელი, დაიბეჭდა და გამოვიდა პირველი და მეორე ნომერი. მესამე ნომერიც მზადდება.

ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა, ხიდეკელისა და იზმიროვის მაღაზიებში და აგრეთვე „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში; ქუთაისში—ჭილაძეებთან

ფასი რვეულისა ერთი შაური.

ასპიდის ფიცრები ქართულის წერისათვის ისყიდება იზმიროვისა, გრიქუროვისა და ხიდეკელის მაღაზიებში და „წერა-კითხვის“ კანცელარიაში. (6—5)

## ამიერ-კავკასიის უმთავრესი ცნობათა კანტორა

(Закавказская центральная справочная контора)

შ. ვ. დავიდოვისა.

ეს ერთად-ერთი კანტორაა ქ. ტფილისში, რომელსაც მთავრობისაგან ნება-დართული აქვს რომელსამე გინდა აქტის შეტანილი ხაზინაში.

კანტორასა აქვს საგნად შეჰკრიბოს და მოიპოვოს ყოველ გვარი ცნობა, რომელიც-კი საჭიროა და სასარგებლო ვისთვისმე. კანტორას ეცოდინება, სად, რომელი, ვისი და როგორი მამული ისყიდება, გირავდება, ან იჯარით და ქირით იძლევა და რა ფასად; ვის უნდა სახლი დაიქირავოს, ან გააქირავოს ქალაქში, ანუ ქალაქ გარეშე; სად რა ბანკები, ანუ სავაჭრო და სატრანსპორტო დაწესებულებანი არიან და რა წესები აქვსთ შემოღებული თავიანთს საქმეში; ვინ ეძებს და ვის უნდა იშოვნოს საადვოკატო, სამწერლო, სამასწავლებლო და სხვა ამ გვარი საქმე: ანუ მუშაობის, პრიკაზჩიკების, მოახლის, მოსამსახურის ადგილი და სხვა.

არზებისა და სხვა ქაღალდების შედგენა.

ქ. ტფილისი, თავად-აზნაურობის ბანკის ქარვასლა (არწრუნისეული), თეატრის ქვეშ (Г. Тифлисъ. Караванъ-сарай Двор. Банка, бывшій Арцруни, подъ театромъ).

### Въ центральной книжной торговлѣ, въ Тифлисѣ, находится складъ нижеслѣдующихъ книгъ:

**Захаровъ.** Собраніе примѣровъ для письменнаго исчисленія, изд, 8-е цѣна 20 к.

**Вересовъ.** Рисованіе по сѣткѣ. Для самостоятельныхъ занятій дѣтей въ школѣ и дома, изд. 2-е ц. 20 к.

**Дрбоглавъ.** Пособіе для первоначальнаго обученія латинскому языку, курсъ 1 и 2 классовъ. ц. 80 к.

„ Опытъ методики первоначальнаго обученія латинскому языку, курсъ 1 и 2 классовъ. ц. 80 к.

**Ракушанъ.** Arriani anabasis. Для учениковъ 3 класса гимназій и прогимназій. ц. 65 к.

**Агніевъ.** Первый шагъ въ изученіи русскаго языка для начальныхъ грузинскихъ школъ. ц. 40 к.

**Беккъ.** Энциклопедія теоретической философіи. ц. 1 р. 20 к.

**Вейденбаумъ.** Путеводитель по Кавказу, съ 12 рисунками и картою Кавказа. ц. 3 р. 50 к.

**Чубиновъ.** Русско-Грузинскій словарь.

Тамъ-же заготовленъ большой запасъ учебниковъ къ предстоящему учебному году. (5—4)

## ნამდვილი საუნჯეა

ყველასთვის განთქმული წიგნი

### თავის მოვლა

თხზ. დ—რის რეტაუსი

რუსულად გამოცემული 3-ის სურათით

ფასი 1 მანათი.

წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.

ვინც მანათს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეის წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნს.

ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlage-Magazin in Leipzig. (50—39)

## წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

### წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . . | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. გვიცარიძისა . . . . . . . . | › | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . . . | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 | „ |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . . | „ | 25 |
| გაენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . | „ | 20 |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | „ | 50 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებელისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ვაზის ობი. . . . . . . | „ | 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . . | „ | 30 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . . | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა . . . | „ | 5 |


Доз. ценз. Тифлисъ, 7-го Октября 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე